

თვალსაზრისი OPINION

თამთა სურმავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

tamta.surmava.1@iliauni.edu.ge

DOI: 10.32859/kadmos/16/166-182

„ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიცია პროპის ზღაპრის მორფოლოგიის ქრილში*

„ამირანდარეჯანიანი“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი საგმირო-სარაინდო თხზულებაა ქართულ მწერლობაში; მის ავტორად მიჩნეულია მოსე ხონელი, ხოლო დაწერის თარიღად სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა პერიოდს მიიჩნევს XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის ოციან წლებამდე. ტექსტის ადრეული ხელნაწერები არ შემონახულა. ნაწარმოებს ვიცნობთ მხოლოდ XVII და მოგვიანო საუკუნეების ხელნაწერით.¹ „ამირანდარეჯანიანი“ რამდენჯერმე გამოიცა. პირველი გამოცემა ეკუთვნის ზაქარია ჭიჭინაძეს (1896 წ.), მეორედ და მესამედ თხზულება გამოსცეს სარგის კაკაბაძემ (1939 წ.) და სოლომონ ყუბანეიშვილმა (1949 წ.), 1967 წელს გამოიცა ლილი ათანელიშვილის მიერ მომზადებული ტექსტი, რომელსაც თან გამოკვლევაც ახლდა. ქართული სამეცნიერო ლიტერატურა იცნობს არაერთ გამოკვლევას „ამირანდარეჯანიანთან“ დაკავშირებით. კვლევები პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს, მკვლევართა გარკვეული ნაწილი დაინტერესებულია საკვლევი ტექსტის სადაურობის გამოკვლევით. განიხილება ორი თეორია, რომელთა მიხედვითაც, ნაწარმოები შესაძლოა, წარმოადგენდეს სპარსული ტექსტის თარგმნილ ვერსიას ან შექმნილი იყოს ქართულ ნიადაგზე (მარი 1895; ბარამიძე 1932; კეკელიძე 1958) მეცნიერთა ყურადღების ფოკუსში ექცევა ასევე „ამირანდარეჯანიანის“ უანოზოზივი რაგვარობა და კომპოზიციური შეკრულობა (იმედაშვილი 1966; მამაცაშვილი 1999; სიხარულიძე 2007).

* სტატია მომზადებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის FR-21-660 – ფარგლებში.

1 ათანელიშვილი 1967, 06.

„ამირანდარეჯანიანი“ ციკლური აგებულების ნაწარმოებია, რომელიც მოიცავს თორმეტ კარს; მასში მოთხრობილია მთავარი მოქმედი პირის, ამირან დარეჯანისძისა და რამდენიმე გმირის თავგადასავალი. ტექსტის კომპოზიციის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა, მათი უმრავლესობის მიხედვით, შედგენილობის მხრივ ნაწარმოები დანაწევრებულია, ცალკეული თავები კი ერთმანეთთან მხოლოდ ექანიკურადაა დაკავშირებული. რაკი ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანი ერთი თეორიული მიდგომით – პროპისეული ზღაპრის მორფოლოგიით (პროპი 1984) – „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციის შესწავლა, შევეცდებით, მიმოვიხილოთ უკვე არსებული გამოცდილება, რომელიც ტექსტის კომპოზიციის შესწავლის ირგვლივ არსებობს.

სიუჟეტის დანაწევრებულობა და კომპოზიციური დაუმთავრებულობა, კორნელი კეკელიძის აზრით, „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხის გარკვევას ამარტივებს. მეცნიერი ვარაუდობს, რომ თითოეულ კარს ცალკე, დამოუკიდებელი წარმომავლობა აქვს და სანამ თხზულება ლიტერატურულ სახეს მიიღებდა, მან განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო, უპირველესად კი იგი ნასაზრდოები უნდა იყოს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით. ჩვენი აზრით, კეკელიძის თვალსაზრისი გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია, რადგან იგი, ერთი მხრივ, მიაჩნის ტექსტის მკვეთრ კომპოზიციურ დანაწევრებულობაზე, მეორე მხრივ კი, იქვე დასძენს, რომ ტექსტის სიუჟეტურად გამაერთიანებელი ელემენტი თავად ურთიერთობაა გმირებისა და არა მათი შინაგანი სამყაროს ამსახველი შინაარსი (კეკელიძე 1987, 21).

გაიოზ იმედაშვილის აზრით, ნაწარმოების კომპოზიცია იმდენად არამყარია, რომ თორმეტი კარიდან შვიდის არარსებობის შემთხვევაში, ამირან დარეჯანისძის კომპოზიციური ხაზი დიდ დანაკლისს არ განიცდიდა, თუმცა ამავედროულად მკვლევარი „ამირანდარეჯანიანს“ „ქართული მწერლობის შესანიშნავ ძეგლად“ ასახელებს (იმედაშვილი 1966, 27). „ამირანდარეჯანიანის“ 1967 წლის გამოცემას ნარკვევი და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა. ნარკვევში მეცნიერი აღნიშნავს, რომ ნაწარმოების დასასრული ბუნდოვანია და იგი დასრულებული არც არის, რადგან თხრობა მთავრდება ამირანის ბალხეთში გამეფებით, ხოლო შემდგომი პერიპეტიების შესახებ მკითხველს ინფორმაცია არ აქვს (ათანელიშვილი 1967, 5). ამრიგად, აშკარაა, რომ სწორედ ეს მოსაზრებაა ანალიზის შემდგომი დასაყრდენი.

„ამირანდარეჯანიანის“ ჟანრობრივი რაგვარობის განსაზღვრისას მ. მამაცაშვილი ორ ალტერნატივას ასახელებს: საგმირო-სარაინდო

რომანსა და ეპოსს. მეცნიერის დაკვირვებით, უპრიანი იქნება, ხონელის ტექსტი რომანის ჟანრს არ მივაკუთვნოთ, რადგან ქართული ლიტერატურა მხოლოდ ერთ სარაინდო რომანს იცნობს და ეს რუსთველის „ვეფხისტყაოსანია“ მეცნიერი არ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ „ამირანდარეჯანიანი“ მართლაც ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებას ფრანგულ სარაინდო რომანთან, მაგრამ მსგავსების მთავარი წყარო არა პირდაპირი ჟანრობრივი გავლენა, არამედ საზოგადოებრივი განვითარების პარალელური საფეხურია, რომელიც ტექსტში აისახა. მკვლევარი ასკვნის, რომ თხზულების ჟანრობრივი კატეგორია მოქცეულია გარდამავალ ეტაპზე საგმირო ეპოსსა და საგმირო სარაინდო რომანს შორის და სწორედ ამ ფაქტითაა განპირობებული გარკვეული მსგავსებები ეპოსთანაც და რომანთანაც (მამაცაშვილი 1999, 361).

საგულისხმოა ნათია სიხარულიძის აზრი „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციასთან დაკავშირებით; მკვლევარი აღნიშნავს, რომ მისი დაკვირვებით, ტექსტში შვიდი კარის გამოყოფაა მხოლოდ შესაძლებელი, ნაცვლად თორმეტისა (სიხარულიძე 2007, 45).

როგორც უკვე აღინიშნა, „ამირანდარეჯანიანი“ 12 კარისაგან შედგება. ესენია: „აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი“, „ბადრი იამანისძის ამბავი“, „ნოსარ ნისრელისა ამბავი“, „ამირან დარეჯანისძისა ამბავი“, „ამბრი არაბისა ამბავი“, „ინდო ჭაბუკისა ამბავი“, „მნათობთა ამბავი“, „ტილისმათა ამბავი“, „სეფედავლე დარისპანისძისა ამბავი“, „ამბავი მზისა ჭაბუკისა“, „სისხლთა ძებნისა ამბავი“ და ბალხეთს შესვლისა ამბავი“.

ამბავში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობს ამირან დარეჯანის ძე. სიუჟეტის მიხედვით, ამირანი იყო მობალდადელი ჭაბუკი, რომელიც მშვიდობიანობის დროს ცხოვრობდა თავისი პატრონის, არაბეთის ხალიფის კარზე. ომობდა, ნადირობდა, ნადიმობდა, ერკინებოდა ფალავნებს და ასრულებდა თავისი პატრონის დავალებებს; ასევე, დახმარებას უწევდა გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეებს. ამბები ერთი შეხედვით ფრაგმენტული ხასიათისაა და დაუმთავრებელი თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს. მოთხრობა წყდება ამირანის ქვრივი დედოფლის მოწვევითა და ბალხეთში შესვლით, სადაც ის ამარცხებს განდგომილ ბალხამ ყამის ძეს, გახელმწიფდება და ცოლად შეირთავს ბალხეთის მეფის ასულს, ამის შემდეგ მასზე არაფერია ნათქვამი; თავად ამ ამბავს მისი ყმა, ღრმად მოხუცებულობამდე მიღწეული სავარსამისძე ჰყვება. ნაწარმოები ფეოდალურ ურთიერთობებს ასხამს ხოტბას, რომლის საფუძველი პატრონყმური დამოკიდებულებაა.

ჩვენი კვლევის ძირითად თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია რუსი ფოლკლორისტის, ვლადიმერ პროპის, მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია, რომელიც ზღაპრის პოეტიკის კვლევასა და აგებულების კანონზომიერებათა გამოვლენას ისახავდა მიზნად. პროპი 1928 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ზღაპრის მორფოლოგია“ გვთავაზობს ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურული შესწავლის ფართო მოდელს. კვლევა ემყარება იმ დებულებას, რომ ჯადოსნურ ზღაპრებში ხშირად სხვადასხვა მოქმედი პირი ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს. მეცნიერი პერსონაჟთა მოქმედებას/ქცევას „ფუნქციას“ უწოდებს და ტერმინს ასე განმარტავს:

ფუნქცია ეწოდება პერსონაჟის მოქმედებას, რომელიც სიუჟეტის მსვლელობისთვის მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით განისაზღვრება. მაგალითად, თუ გმირი თავისი ცხენით ახტება მეფის ასულის სარკმლამდე, გვაქვს არა ცხენით ახტომის ფუნქცია, არამედ ქორწინებასთან დაკავშირებული ძნელი დავალების ფუნქცია. (პროპი 1984, 33)

კონცეფციის თანახმად, ფუნქციათა განსაზღვრა იმისგან დამოუკიდებლად ხდება, თუ ვის მიეწერება ზღაპარში მათი შესრულება, მათი განსაზღვრა არც იმაზეა დამოკიდებული, როგორ და რა საშუალებებით შესრულდება მოქმედება. პროპის სტრუქტურული მოდელის მიხედვით ტექსტში ცალკეულ ფუნქციათა აღმოჩენა, კვლევის მხოლოდ პირველი ეტაპია, ფუნქციათა გამოვლენის შემდეგ ცალკე უნდა იქნეს გამოკვლეული ამ ფუნქციების შემსრულებელი პერსონაჟების შვიდწევრა მოდელიც (იქვე, 121).

საცნაურია, რომ მეცნიერი სიუჟეტსა და კომპოზიციას ერთ განუყოფელ მთლიანობად აანალიზებს და ეთანხმება კლოდ ლევი-სტროსს, რომლის თვალსაზრისსაც არგუმენტად გვთავაზობს: „ფორმასა და შინაარსს ერთი ბუნება აქვთ, ისინი საერთო ანალიზს ექვემდებარებიან“ (იქვე, 39).

პროპი თავის თეორიულ ნაშრომში გვთავაზობს ერთგვარ მოდელს, რომელიც ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციისთვის უნდა გამოიყენოს მკვლევარმა, თავად ნაშრომის ბუნებიდან გამომდინარე, ავტორის მიერ წარდგენილი მაგალითები მხოლოდ ჯადოსნური ზღაპრით შემოიფარგლება.

ჩვენი კვლევის საგანი კი „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციის შესწავლა და ერთგვარი კანონზომიერებების აღმოჩენაა შემოთავაზებული მოდელის საშუალებით.

„ამირანდარეჯანიანში“ პროპისეულ ფუნქციათა გადანაწილების სქემა ცალკეული თავებისთვის მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმა-

ნეთისგან, საცნაურია, რომ პირველი კარი – „აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი“ – ფუნქციურ დანაწევრებას თითქმის არ ექვემდებარება, რადგან მთელი პირველი კარი თავად არის ფუნქცია; სახელდობრ, როგორც პროპი აღნიშნავს, ყველა ჯადოსნური ზღაპარი იწყება საწყისი ჰარმონიული სიტუაციის აღწერით, რომლის ფონზეც ჩნდება დისჰარმონია და მისი აღმოფხვრა წარმოადგენს ზღაპრის მთავარ მამოძრავებელ სიუჟეტურ ხაზს. „ამირანდარეჯანიანში“ მოთხრობილი ამბავი, აბესალომ ინდოთ მეფის შესახებ, იწყება სწორედ ასეთი ჰარმონიული გარემოს აღწერით: „იყო ჰინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული და განგებიანი. და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა“ (ხოწელი 1969, 5). აბესალომ მეფის სანადიროდ გასვლას, ფუნქციას N1, მოსდევს უშუალოდ იმ დანაკლისის გაჩენა, რომელიც გმირმა უნდა შეიგოს (ფუნქცია N9), სანადიროდ გამოსული აბესალომ მეფე შემთხვევით გადააწყდება უცნობი გმირების გამოსახულებას და ნებისმიერ ფასად სურს, გაიგოს მათი ვინაობა. სწორედ პირველ კარში მოცემული ეს ორი ფუნქციაა გადამწყვეტი მთელი ნაწარმოებისთვის. იმ უცნობი გმირების ამბის შეტყობასა და თითოეულის გმირობის გადმოცემას ეთმობა მთელი ტექსტი.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ფუნქციათა დატვირთვა ცალკეული კარისთვის, თითოეულ მათგანს დავანაწევრებთ ფუნქციათა დონეზე:

მეორე კარი მოგვითხრობს „ბადრი იამანისძის ამბავს“, რომელშიც მეორე დონის მოთხრობელი უამბობს მეფეს გმირის შესახებ, ნიშანდობლივია, რომ პირველი კარიდან მეორე კარზე გადასვლა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ემყარება, სახელდობრ: მეფე ისმენს ამბავს მისთვის უცნობი გმირის შესახებ, რომლის ვინაობითაც იგი ნადირობის დროს დაინტერესდა. მეორე კარში კი ფუნქციურად განსხვავებული როლები ორ გმირს, ამირან დარეჯანისძეს და თავად ბადრი იამანის ძეს. უწინარესად, ყურადღებას გაავამხვილებთ თავად ბადრი იამანისძის ამბის ფუნქციურ სტრუქტურაზე. ფუნქციათა დონეზე ბადრი იამანისძის ამბავი შეიძლება ასე დაიყოს:

ა) იწყება საწყისი სიტუაციის აღწერით, სიტუაციის აღწერის ერთ-ერთი მოდელის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს მომავალი გმირის სახელის ან მდგომარეობის ხსენება „პატრონი ჩემი იყო ბადრი იამანის ძე, ჭაბუკი გამორჩეული, ნაქმართა მისთა ყოლა არ ეგების...“ (ხოწელი 1967, 32);

ბ) ფუნქცია N8, განსაზღვრება: უქონლობა. ბადრი იამანის-ძე გამორჩეული ვაჟკაცია, იგი ეძებს ახალ ასპარეზს ბრძოლისა, რადგან მიაჩნია, რომ იმ სივრცეში, რომელშიც იმყოფება, თავი ამოწურა: „რო-

მელ ვერავინ გაუსწორის ომი და ვერცა ჰპოვა სწორი მისი, შეჭირვებულ ჯდა“ (ხონელი 1967, 33);

გ) ფუნქცია N9, გმირს უშვებენ – განსაზღვრება: შუამავლობა, დამაკავშირებელი მომენტი; ბადრი იამანისძეს სთავაზობენ ასპარეზს ბრძოლისთვის, შუამავალი მას მიუთითებს: „ზღვათა მეფის ასულისა გამოყვანებად წადი, და მუნ მოგხვდებიან ჭაბუკნი არა ერთნი და ორნი, განა მრავალნი და დიდად მარცხენი“ (ხონელი 1967, 34);

დ) ფუნქცია N10: მძებნელი გმირი იღებს გადაწყვეტილებას, დაიწყოს ძებნა, გმირი მიემართება შუამავლის მიერ შემოთავაზებული გეგმის შესასრულებლად;

ე) ფუნქცია N11: გმირი ტოვებს სახლს და მიემგზავრება დიდი ხნით, რადგან გათავისებული აქვს თავისი მოქმედების სირთულე;

ვ) ფუნქცია N12: გმირის გამოცდა. მძებნელის გზა რთული და ფათერაკებით სავსეა, ბადრი იამანის ძეს უწევს არაერთი დაბრკოლების გადალახვა, ბრძოლა ვეშაპებთან და ბრძოლა ზღვათა მეფის ჭაბუკებთან;

ზ) ფუნქცია N14: გმირი იღებს ჯადოსნურ საშუალებას – განსაზღვრება: მომარაგება; საბოლოო ბრძოლის წინ ზღვათა სამეფოში მეფის ასული ბადრი იამანის ძეს ძღვენს უძღვნის: „საცოლესა შენსა ცხენი გამოუგზავნია შენ თანა!“ – ატყობინებენ მას;

თ) ფუნქციები N16, 17, 18: გაიმართება საბოლოო ბრძოლა გმირსა და ანტაგონისტს (ზღვათა მეფის ჭაბუკი, ბოლო წინააღმდეგობა საცოლის მოპოვებამდე) შორის, რომელიც, ცხადია, გმირის გამარჯვებით სრულდება, ბადრი იამანის ძე კლავს ანტაგონისტს;

ი) ფუნქცია N19: ბადრი იამანისძის საწყისი უქონლობა სრულად აღმოფხვრილია. მან გამოსცადა ბრძოლის ახალი ასპარეზი, საბოლოოდ კი ზღვათა მეფის ასულზე ქორწინდება, მეფე მას ტახტსაც სთავაზობს, მაგრამ იგი თავმდაბლობის გამო უარს აცხადებს: „მეფობა თქვენი არს და გვირგვინი თქვენვე დაიდგით“, – ეუბნება გმირი ზღვათა მეფეს (ხონელი 1967, 72);

კ) ფუნქცია N20: გმირის დაბრუნება. ბადრი იამანის ძე საცოლითურთ ბრუნდება სამშობლოში, თუმცა მისთვის ეს გზაც ფათერაკებით აღსავსე აღმოჩნდება, მას დევები გაიტაცებენ; „შუალამისა ჟამსა მოვიდა ბაყბაყ დევი, მძინარე ბადრი იამანისძე შეიპყრა და წაიყვანა“ (ხონელი 1967, 75).

უნდა აღინიშნოს, რომ პროპის მოდელთან ამ კარის თავსებადობა აქ სრულდება. ამკარაა, რომ „ამირანდარეჯანიანი“ ფუნქციათა მოდიფიცირებულ ვარიანტს გვთავაზობს, სახელდობრ, მომდევნო კარის მთავარი სიუჟეტური ხაზი სწორედ ბადრი იამანისძის ტყვეობიდან

გათავისუფლება იქნება, ამრიგად, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ხონელის ტექსტში ფუნქციები ერთი კარიდან მეორეში მიზეზშედეგობრივად უკავშირდება ერთმანეთს, რასაც მესამე კარის ფუნქციით გამოვლენაც დაადასტურებს.

მესამე კარის პროტაგონისტია ნოსარ ნისრელი; ტექსტის ეს ნაწილი ზუსტად იმეორებს მეორე კარის სტრუქტურას. საწყისი უქონლობა, დანაკლისი, რაც გამოხატულია თანასწორი გმირის დაკარგვითა და მისი პოვნის აუცილებლობით (ფუნქცია N8), რასაც ლოგიკურად მოსდევს შუამავლის ფუნქცია და გმირის თანხმობა ძეხნის დასაწყებად: „თავმან თქვენმან, მეორესვე დღესა წამოვიდა და ყმა მისი ალი დილაში თან წამოიტანა“ (ხონელი 1967, 80) შეესაბამება ფუნქციებს N9, 10, 11. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესამე კარის დასაწყისის ფუნქციური ერთეულები ჯერ კიდევ მეორე კარის დასასრულსაა მოცემული, რითაც ხონელი მეორე კარის დასასრულშივე ქმნის შესავალს შემდეგი ნაწილისთვის; ცენტრალური გმირი, ისევე, როგორც ჯადოსნური ზღაპრის ყველა გმირი, ბევრ განსაცდელს გამოსცდის, სანამ საწადელს მიაღწევს, ნოსარ ნისრელი პოულობს დევთაგან დატყვევებულ ბადრი იამანის ძეს, თუმცა მისი მცდელობა, გაათავისუფლოს იგი, მარცხით სრულდება: „მოვიდნეს დევნი ორნი ძმანი ბაყბაყ და ხაზარან, მოჰკვეთეს კალოსა ოდენი მიწა და წაიყვანეს ნოსარ ნისრელი“ (იქვე, 86). მესამე კარის დასასრულს შექმნილი ახალი წინააღმდეგობა უნდა დაიძლიოს ახალი მძებნელის მიერ, ახალი მძებნელი კი ამირან დარეჯანის ძეა, რომლის ამბის თხრობასაც მთელი მეოთხე კარი ეთმობა.

მეოთხე კარი კომპოზიციურად არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებს უკვე განხილულ წინამორბედ კარებთან შედარებით. აღნიშნულ ნაწილში ამირან დარეჯანისძის თავგადასავალია მოთხრობილი, რომელმაც დევთაგან დატყვევებული გმირები უნდა გაათავისუფლოს.

ტექსტის ინვარიანტული სტრუქტურა ამ ნაწილშიც ნარჩუნდება. შემოთავაზებული სქემით ფუნქციური გადანაწილება ასეთია: ფუნქცია N8 + ფუნქცია N9 + ფუნქცია N10 + ფუნქცია N11 + ფუნქცია N12 + ფუნქცია N16 + ფუნქცია N17 + ფუნქცია N18 + ფუნქცია N19 + ფუნქცია N20.

მეოთხე კარის დასასრულს არ არის მოთხრობილი რომელიმე გმირის გამეფება, ამირან დარეჯანისძის მიერ გათავისუფლებული ნოსარ ნისრელი და ბადრი იამანის ძე თანაბრად იყოფენ დევების დამარცხების შედეგად მიღებულ ნადავლს. გმირები ძმადნაფიცები ხდებიან და

ამის შემდეგ ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში; საცნაურია, რომ ავტორის მითითებით, ამ ამბით სრულდება ინდოთ მეფის, ბადრი იამანის ძის, ამირან დარეჯანის ძისა და ნოსარ ნისრელის ამბავი, თუმცა რაკი ჩვენი კვლევის მიზანს მთლიანი კომპოზიციის შესწავლა წარმოადგენს, განვიხილავთ დანარჩენი კარების კომპოზიციურ სტრუქტურასაც.

მეხუთე კარში მთხრობელი უამბობს მეფეს ამბრი არაბის ამბავს. მთხრობლის მითითებით, ეს ამბავი განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა ნაწარმოების ცენტრალურ პერსონაჟს, ამირან დარეჯანისძეს. მეხუთე კარის მიხედვით, ომარ, ამბრი არაბის ამბავი განსხვავდება სხვა გმირთა ამბებისგან, თუმცა სტრუქტურა ტექსტის ამ ნაწილშიც ნარჩუნდება, ამბრი არაბის მოგზაურობა არ იწყება პირადი მიზეზით, რაიმეს უქონლობის აღმოსაფხვრელად ან გმირთა გასათავისუფლებლად. შეიძლება ითქვას, რომ მისი მოტივაცია უფრო ფართოა: იხსნას ტყვეობიდან მთელი იამანეთი; ნაწარმოების ამ ნაწილში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ფუნქციური ერთეულები:

ა) ფუნქცია N9: ამბრი არაბს მიმართავენ დახმარების თხოვნით, მან მეკობრეთაგან შევიწროებული ხალხი უნდა იხსნას. სხვა კარებისგან განსხვავებით, ნაწარმოების ამ ნაწილში მთავარ გმირს არ აქვს ერთი კონკრეტული მისია ან ერთი საწყისი უქონლობა, რომელიც უნდა აღმოფხვრას. სახელის მძებნელი ამბრი არაბი მეკობრეთაგან ათავისუფლებს ჩაგრულთ, ებრძვის ხანთა მეფის დაქირავებულ ბუმბერაზებს და იხსნის იამანთა სახელმწიფოს; ამბის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთელი მეხუთე კარი რამდენიმე ფუნქციითაა აგებული, სახელდობრ: ფუნქცია N9-ს ლოგიკურად მოსდევს გმირის თანხმობა დახმარებაზე (ფუნქცია N10), დატოვება სახლისა და რთული გზის დაწყება (ფუნქცია N11), შებრძოლება ყველა მოწინააღმდეგესთან, რასაც ანტაგონისტის დამარცხება მოჰყვება შედეგად (ფუნქციები N16, 17, 18), საბოლოოდ კი პრობლემა სრულად აღმოიფხვრება (ფუნქცია N20): „აშენდა იამანეთი, და ამას იტყოდეს ყოველნივე: გვიხსნა ტყვეობისგან ამბრი არაბმან ჭაბუკობითა მისითაო“ (ხონელი 1967, 154).

მეექვსე კარის ფუნქციათა გადანაწილების სქემაში მინიმალურ დონეზე იჩენს თავს განსხვავებას სხვა კარებთან შედარებით, სახელდობრ: წინა კარის მსგავსად „ინდოთ ჭაბუკის ამბავშიც“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ისევ ამბრი არაბია და ზღაპრის ფუნქციები მის ირგვლივაც ნაწილდება; ტექსტში პირველად შემოდის ფუნქცია N2, აკრძალვა, რომელიც არ უნდა დაირღვეს: „ნურცა დიდისა და ნურცა მცირედისაგან ნუმცა იხსენების ამბრი არაბსა თანა ამბავი ინდოსა ჭაბუკისა“ (იქვე, 156), – ბრძანებს იამანთა მეფე, რაკი არ

სურს, ამბრი არაბმა ქვეყანა დატოვოს ინდოთ ჭაბუკის საძიებლად. პროპის კონცეფციით, ფუნქციათა თანმიმდევრობა ყოველთვის ერთნაირია, რაც მოცემული კარიტაც დასტურდება, ფუნქცია N2-ს მოსდევს ფუნქცია N3 – აკრძალვის დარღვევა: ამბრი არაბი იგებს ამბავს და იქმნება საწყისი უქონლობა, რომელსაც მოსდევს ინდოთ ჭაბუკის ძიება, მძებნელის როლში კი ამბრი არაბია; ფუნქციების N2, 3 შემდეგ ლოგიკურად იწყება მძებნელის ციკლი, რასაც ხონელი უკვე ცნობილი სტრუქტურით ალაგებს: ფუნქცია N8 + ფუნქცია N9 + ფუნქცია N10 + ფუნქცია N11 + ფუნქცია N12 + ფუნქცია N16 + ფუნქცია N17 + ფუნქცია N18 + ფუნქცია N19 + ფუნქცია N20.

მეშვიდე კარს ფუნქციათა დონეზე მეტად მრავალფეროვანი სტრუქტურა აქვს – ესაა „მნათობთა ამბავი“. საწყის სიტუაციას ქმნის ამირა მუმლის მეფობა ბაღდადში, დანაკლისი მძებნელს კი არა, თავად ამირას უკავშირდება: „მას ჟამსა შემოიარეს მათ სამთა ძეთა ამირა მუმლისათა, მათ მშვენიერთა მოწიფულთა და არა ესვა ერთსაცა მათგანსა ცოლი“ (იქვე, 194).

ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი მიმართავენ ამირან დარეჯანის ძეს, რომელმაც მძებნელის ფუნქცია უნდა იკისროს – ფუნქცია N8, 9, ფუნქციათა ლოგიკური ჯაჭვი გრძელდება გმირის თანხმობითა და სახლის დატოვებით (ფუნქცია N10, 11); სტრუქტურის მრავალფეროვნებაში ნაწარმოების ამ ნაწილისთვის იგულისხმება შემდეგი: „ამირანდარეჯანიანში“ პირველად ჩნდება „შემწე“, რომელიც ამირან დარეჯანის ძეს უშუალოდ მიუთითებს, სად მოძებნოს საცოლეები ამირა მუმლის ვაჟებისთვის (ფუნქცია N12): „არის ქვეყანა მეტად დიდი და მას ქვეყანასა მნათობთა ქვეყანა ჰქვია. მუნ არს ასფან მეფე დიდი და არიან შვიდნი ასულნი მისნი“ (იქვე, 207). შემწის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე გმირი სათანადოდ რეაგირებს (ფუნქცია N13) და მიემგზავრება ზღვათა სამეფოში. მას შემდეგ, რაც მძებნელი ზღვათა სამეფოში აღმოჩნდება, იკვრება ფუნქციათა ახალი რკალი. გმირის ბრძოლა საწადელის მისაღწევად, დაპირისპირება ანტაგონისტთან, ბრძოლაში ჭრილობის მიღება და საბოლოოდ საწადელის აღსრულება (N16 + ფუნქცია N17 + ფუნქცია N18 + ფუნქცია N19 + ფუნქცია N20). რაკი პროპის კონცეფცია ჯადოსნურ ზღაპარს ეხება, ხოლო „ამირანდარეჯანიანი“ საავტორო ტექსტია, სავსებით ლოგიკურია, ნაწარმოების ამ ნაწილში ფუნქციათა თანმიმდევრობა არ ემთხვეოდეს პროპისეულ თანმიმდევრობას. მართლაც, საქმე გვაქვს ფუნქციათა მოდიფიკაციურ ვარიაციასთან. სახელდობრ: ფუნქცია N25 (გმირს ძნელ დავალებას აძლევენ – განსაზღვრება: ძნელი დავალება) მოცემულია ზღვათა სამეფოში შესვლისთანავე, როცა ზღვათა მეფე

შვილების ხელის მძებნელთ ბუმბერაზებს დაუპირისპირებს და ასე გამოსცდის მათ (იქვე, 230). ხოლო ამ კარის დასასრული ფუნქციათა დონეზე სტანდარტულია: იგი სრულდება საწყისი უქონლობის აღმოფხვრითა და მძებნელის დასაჩუქრებით გაწეული ღვაწლისთვის.

„ამირანდარეჯანიანის“ მერვე კარი – „ტილისმათა ამბავი“ ნაწარმოების ის ნაწილია, რომელშიც ჯადოსნური ელემენტი ყველაზე მეტად იჩენს თავს. ამ კარის გმირი ისევ ამირან დარეჯანისძეა, რომლის ირგვლივაც ვითარდება მოქმედება. პროპის ფუნქციათა დონეზე, ამირანია მძებნელი, რომელიც ცდილობს, გაარკვიოს იდუმალი ქალის ბედი, რათა ცოლად შეირთოს იგი, ე.ი. მძებნელის სვლა მოტივირებულია „უქონლობის“ აღმოფხვრით (ფუნქციები N8, 9, 10). ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურის მსგავსად ამ ტექსტშიც მძებნელი გზად კეთილ საქმეებს ჩადის (ათავისუფლებს ქარავანს, ამარცხებს წითლოსან ჭაბუკს). მერვე კარში მეტად მნიშვნელოვანია შემწის ფუნქცია, რადგან მისი მეშვეობით შეიტყობს ამირანი, რომ ტილისმათა ქვეყანა მოჯადოებული სივრცეა (ფუნქცია N12). მერვე კარის მთავარი განსხვავება დანარჩენებისგან არის შემდეგი: ამირანისთვის, როგორც მძებნელისთვის, უცნობი ასულის ძიება მისიის მხოლოდ პირველი ნაწილია, რაც ქორწილით სრულდება (ფუნქცია N19), ხოლო ამას მოსდევს ახალი ეტაპი – ტექსტი ისევ უბრუნდება მოქმედებათა ახალ წრეს (ფუნქცია N3). ამირანი შეიტყობს, რომ ტილისმათა ქვეყანა მოჯადოებულია და საჭიროდ მიიჩნევს, აღმოფხვრას ეს პრობლემა. ამრიგად, დაპირისპირება ვეშაპთან, ბრძოლაში მიღებული ჭრილობა და უქონლობის აღმოფხვრა გადანაწილებულია ფუნქციებზე N9, 12, 13-16, 17, 18, 19; „ტილისმათა ამბავი“ ტექსტში პირველად ასახავს მძებნელის დევნის ეპიზოდს, რაც შეესაბამება ფუნქციას N21, რომელშიც გმირს მისდევნ – განსაზღვრება: დევნა, გამოკიდება, რასაც გმირი აუცილებლად გადაურჩება (ფუნქცია N22, განსაზღვრება: გადაარჩენა) (იქვე, 359).

კარი მეცხრე – „სეფედავლე დარისპანისძისა ამბავი“ ფუნქციურად და სტრუქტურულად რთული აგებულებისაა, სახელდობრ: ტექსტის ამ ნაწილში ფუნქციური ერთეულები შეიძლება დაჯგუფდეს სამი გმირის ირგვლივ, რომელთაც თავიანთი მოტივაცია აქვთ. ესენია: მძებნელი N1 ომად მადისძე, რომელიც სახელის ძიების მიზნით ტოვებს სახლს (ფუნქცია N1): „ჭაბუკობისა ძალისა ცნობად წამოსრულ ვარ“ (იქვე, 377). იგი პოულობს შემწეს, რომელიც ეხმარება მას (ფუნქცია N12) და მისი გზა იკვეთება მძებნელ N2-თან, სეფედავლე დარისპანისძესთან, მძებნელთა ბრძოლის ეპიზოდი ომად მადისძის დანაკლისის ლიკვიდაციაა, (ფუნქცია N19). თუმცა აქვე იწყება მეორე მძებ-

ნელის ციკლი, დარისპანის ძისა, რომელიც საცოლეს ეძებს (ფუნქცია N8), ეს სწორედ ის უქონლობაა, რომლის გამოც იგი ტოვებს სახლს და მიემგზავრება „ჭენთა მეფისა ასულისა გამოყვანებად“ (იქვე, 423). შემდეგ სეფედავლე პოულობს შემწეს და იღებს ჯადოსნურ საშუალებას მიზნის მისაღწევად: „მე წამალი მოგცე ეგეთი, რომე ფერხთა მოისვით და უცილოდ გახვალთ ადვილად“ (იქვე, 428), რაც შეესაბამება ფუნქციებს N13, 14. საცოლის მოპოვება, ჭენთა მეფის ასულის გამოყვანა ფუნქციებზე N16, 17, 18, 19 არის გადანაწილებული. „ამირანდარეჯანიანში“ პირველად მოქმედება არ სრულდება უქონლობის ლიკვიდაციით. გმირს, მძებნელს, დევნიან და იგი ახალ დაპირისპირებაში ერთვება, რაც მისი გამარჯვებით სრულდება (ფუნქციები N20, 21, 22). ამის შემდეგ ჩნდება მძებნელი N3 – ამირან დარეჯანისძე, რომლის მთავარი ფუნქცია სეფედავლე დარისპანის ძის პოვნაა (ფუნქცია N8), ამ მიზანს იგი აღწევს (ფუნქცია N19). ნაწარმოების ეს ნაწილი მძებნელთა დაძმობილებით სრულდება.

მეათე კარში მოთხრობილია „მზისა ჭაბუკის ამბავი“ საცნაურია, რომ კომპოზიციურად ეს კარი ორი ნაწილისგან შედგება, ამბის ფუნქციურ დონეზე დაყოფას კი შემდეგი სახე აქვს: სანადიროდ გასული მზეჭაბუკი (ფუნქცია N1), შუამავლის მეშვეობით (ფუნქცია N9), შეიძლება საოცარი სანადირო ადგილების შესახებ, რომელსაც მხეცი დაჰპატრონებია და გადაწყვეტს მასთან შებრძოლებას. ბრძოლის აქტმა უნდა აღმოფხვრას ის უქონლობა, რომელიც მზეჭაბუკს ამ ეტაპზე აქვს, მძებნელის მიერ მხეცის დამარცხება უქონლობის აღმოფხვრის დასტურია.

მხეცის დამარცხებას უშუალოდ მოსდევს ახალი შუამავლობის ეპიზოდი, როცა გმირს ატყობინებენ ხაზართა მეფის ასულის ვინაობის შესახებ (ფუნქცია N9), მძებნელი იღებს გამოწვევას და იწყებს სვლას მეფის ასულის მოსაპოვებლად (ფუნქცია N10, 11); იწყება მეფის რთული დავალების შესრულების მოქმედებათა წრე, რაც გულისხმობს ანტაგონისტთან დაპირისპირებას, უშუალოდ ბრძოლაში ჩართვასა და გმირის გამარჯვებას (ფუნქცია N16, 17, 18, 19); საცოლის მოპოვების შემდეგ იქმნება ახალი წინაღობა – ხაზართა მეფის ასულს გაიტაცებენ და მძებნელი კვლავ მიდის საძებნელად (ფუნქცია N23). ახალი ციკლის მიმდინარეობისას მზეჭაბუკი ხვდება ცრუ შემწეს, რომელიც მახეს უგებს მას, თუმცა გმირი ამ დაბრკოლებასაც გადალახავს. ნაწარმოებში პირველად გვხვდება ფუნქცია N15, მძებნელის სივრცობრივი გადაადგილება ჯადოსნური საშუალებით: „მათ ფრთები პირსა გვკრეს და ჩვენ ცნობა წაგვიხდა. ოდესცა მოვიქცეთ, ხაზარეთისავე კარსა ქალაქისასა ვიყვენით“ ხაზართა მეფის ასულის

მოპოვებითა და გამეფებით მზეჭაბუკი მთლიანად აღმოფხვრის ყოველგვარ უქონლობას, რაც მას ამბის დასაწყის ნაწილში ჰქონდა. გმირის გამეფება ტრანსფიგურაციის ნიშანია, რაკი იგი სახეცვლილი, სხვა ამპლუაში აღმოჩნდება – ფუნქცია N29, ხოლო ფუნქციები N30, 31 ნაწარმოების ამ ნაწილისთვის ასე მოდიფიცირდა: ანტაგონისტის დასჯის ნაცვლად შემოთავაზებულია დიდსულოვან პატიების მოტივი (მზეჭაბუკისა და მეფის შერიგება), ხოლო დასასრულს კრავს ქორწილის სცენა, თუმცა ამბის ბოლოს მზეჭაბუკის ლაჩრულად, მიპარვით სიკვდილით მყარდება კავშირი მომდევნო კართან: „ვინცა კარგი ჭაბუკი იყოს ქვეყანასა ზედა, უამბეთ ჭაბუკობა ჩემი და მუხთლად სიკვდილი, შევეწყალები და ეძებს სისხლთა ჩემთა“ (იქვე, 612).

კარი მეთორმეტე – „სისხლისა ძეგნის ამბავი“ ფუნქციურად მოტივირებულია წინამორბედ კართან კავშირით, ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ მძებნელის მთავარი მისიაა, შური იძიოს მზეჭაბუკის ლაჩრულად მოკვლისთვის. მძებნელის როლში ამირან დარეჯანისძეა, რომელიც გადის ყველა იმ სტადიას, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის გმირისთვის აუცილებელია მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, მთელი ამ ამბის სტრუქტურა რამდენიმე ფუნქციას მოიცავს, სახელდობრ: ფუნქციებს N1, 8, 9, 10, 11, 16, 17, 18, 19, 20;

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ უქონლობის აღმოფხვრა ნაწარმოების ამ ნაწილისთვის არ უკავშირდება მძებნელის ტრანსფიგურაციას, შურისძიება თანასწორი გმირის მოკვლისთვის გააზრებულ უნდა იქნეს მძებნელის მიერ პრობლემის აღმოფხვრად.

„ამირანდარეჯანიანის“ ბოლო, მეთორმეტე კარი, სადაც აღწერილია ბალხეთში შესვლის ამბავი, ასრულებს მთელს ნაწარმოებს, ფუნქციათა დონეზე სტრუქტურა ისევ ნარჩუნდება. მთავარი გმირი, ამირან დარეჯანისძე შეიტყობს ბალხთა დედოფლისა და მეფის ასულის გასაჭირს: „ბალხთა მეფე მოუკლავს ბალხამს ვისმე ყამისძესა და წაუღია ყოველი სამეფო მისი. დარჩომია დედოფალსა ერთი ქალაქი, და ასული უვის...“ თანხმდება, დაიწყოს მოქმედება მათ დასახსნელად, რასაც სტანდარტული სქემით მოჰყვება შემდეგი ფუნქციები: ფუნქცია N8, 9, 10 და ასევე ფუნქციები N16, 17, 18, 19. „ამირანდარეჯანიანი“ ამირანის ბალხეთში შესვლითა და გამეფებით სრულდება.

„ამირანდარეჯანიანის“ თითოეული თავის ფუნქციური სტრუქტურის მოცემულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ვიმსჯელოთ იმ კანონზომიერებებზე, რომლებიც მთლიან ტექსტში იჩენს თავს. პროპის კონცეფციით, პირველი შვიდი ფუნქცია ზღაპრის მოსამზადებელი ნაწილია, ხოლო მერვე ფუნქცია წარმართავს მთელ სიუჟეტს (პროპი 1984, 74). „ამირანდარეჯანიანის“ სტრუქტურაზე დაკვირვების

საფუძველზე აშკარაა, რომ ძირითად შემთხვევებში ფუნქციითა გადანაწილების სქემა იწყება სწორედ ფუნქციით N8, რადგან საწყისი სიტუაციის აღწერა სტრუქტურული კონტექსტით ფუნქციებს არ განეკუთვნება, მას მხოლოდ ექსპოზიციის დანიშნულება აქვს. ამასთან, ნაწარმოების სტრუქტურული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა კარში მსგავსი ფუნქციური ელემენტები გამოიყოფა.

პროპის განმარტებით:

მორფოლოგიურად ჯადოსნური ზღაპარი შეიძლება ეწოდოს ყოველგვარ განვითარებას, რომელიც ვნებით ან უქონლობით იწყება და საშუალოდ ფუნქციების გავლით მთავრდება ქორწინებით ანდა სხვა ფუნქციებით, რომლებიც კვანძის გახსნისთვის გამოიყენება. საბოლოო ფუნქციაა დაჯილდოება, რაიმეს შოვნა ან საერთოდ უბედურების ლიკვიდაცია, დევნისთვის თავის დაღწევა და ა.შ ამგვარ განვითარებას ჩვენ სვლა ვუწოდეთ. (პროპი 1984, 134)

ამის გათვალისწინებით, „ამირანდარეჯანიანი“ მორფოლოგიურ დონეზე შესაძლოა კვალიფიცირდეს, როგორც ზღაპარი. შესაბამისად, ლოგიკურია, განვითარების სვლათა გამოვლენით გაირკვეს, ტექსტი ერთი ზღაპრის შემცველია, თუ ორ ან მეტ ზღაპარს მოიცავს;

„ამირანდარეჯანიანის“ პირველი სვლა იწყება პირველივე კარით და პირველი უქონლობის დაფიქსირებით, აბესალომ მეფე ინტერესდება ქვითკირის სახლის კედელზე გამოსახული გმირების — ამირანდარეჯანისძის, სავარსამისძის, ბადრი იამანისძის, ნოსარ ნისრელისა და ალი დილამის თავგადასავლით. მეორე, მესამე და მეოთხე კარები მთლიანად ეთმობა ამ გმირების თავგადასავალთა თხრობას, კავშირი მათ შორის მიზეზშედეგობრივია, რადგან საერთო განსაცდელში მოხვედრილ ბადრი იამანის ძესა და ნოსარ ნისრელს ამირანდარეჯანისძე იხსნის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველი სვლის დასასრულზე თავად ტექსტი მიგვითითებს: „აქა დასრულდა კარი ინდოთა მეფისა, ბადრი იამანისძისა, ნოსარ ნისრელისა და ამირანდარეჯანისძისა“ (იქვე, 110).

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტობრივი მითითებით ამირანდარეჯანისძის ამბავი მეოთხე კარით სრულდება, მემვიდე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კარების ცენტრალური პერსონაჟი ისევ ამირანდარეჯანისძეა. მიუხედავად იმისა, რომ მეათე კარში ამირანდარეჯანისძე არ ჩანს, მზეჭაბუკის ამბავი პირდაპირ მასთან არის დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ ნაწარმოების ეს ნაწილებიც პირველ სვლას ეკუთვნის, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ჯადოსნურ ზღაპარში ხშირია, როცა ტექსტში ეპიზოდი წყდება და, შესაბამისად, მოქმედებათა სქემაც რთულდება.

მეორე სვლა „ამირანდარეჯანიანისა“ იწყება მეხუთე კარით – „ამბრი არაბის ამბავი“. კავშირი პირველსა და მეორე სვლას შორის თავად ტექსტშია განმარტებული, რადგან აბესალომ მეფემ უკვე მოისმინა ამბები იმ გმირებისა და ამირანისა, რომელიც ასე აინტერესებდა მას, დადგა დრო, მთხრობელმა მეფეს უამბოს იმ გმირთა შესახებ, რომელთა ამბავიც თავად ამირან დარეჯანისძისთვის იყო სასიამოვნოდ მოსასმენი: „ამა კაცისა ამბავი დიდად იამებოდა პატრონსა ჩემსა ამირან დარეჯანისძეს, და თქვენი არ ვიცი, გთნავს თუ არა. აწ მოვახსენებ მეფობასაცა თქვენსა“ (იქვე, 111).

მეორე სვლა გრძელდება ინდო ჭაბუკის ამბით და მეექვსე კარის დასასრულს, სტანდარტული სქემით აღნიშნულია, რომ: „აქა დასრულდა კარი ამბრი არაბისა და მის ინდოსა ჭაბუკისა დ არაბეთსა შესვლისა, და დაუსრულებელ ყვნეს ღმერთმან სუფევა და გამარჯვება მეფობისა თქვენისა...“ (იქვე, 192), რაც მეორე სვლის დასრულების შესახებ ამცნობს მკითხველს.

მესამე სვლა კომპოზიციურად დანაწევრებულია და მასში ერთიანდება ორი ამბავი: „ტილისმათა ამბავი“ და „სეფედავლე დარისპანისძისა ამბავი“. მართალია, ამ კარების მთავარი მოქმედი პირი ამირანი არ არის, მაგრამ თითოეული ამბავი ამირანთან მაინც იკვეთება.

ამრიგად, „ამირანდარეჯანიანში“ გამოიყოფა სამი სვლა: პირველი სვლა საკუთრივ ამირან დარეჯანისძის ირგვლივაა კონცენტრირებული და იგი შუაში გაკვეთილია მეორე და მესამე სვლით, სვლებს შორის კავშირი ახსნილია ტექსტობრივი მასალის საფუძველზე, ხოლო მთლიანად ნაწარმოები სრულდება პირველი სვლის დასასრულით. რაკი ზღაპრის კონსტრუქცია იცნობს იმგვარ შემთხვევებსაც, როცა ორ სვლას საერთო დასასრული აქვს, შესაძლებელია საავტორო ნაწარმოების შემთხვევაში ვიმსჯელოთ სამი სვლის ერთიან დასასრულზე, რაც პასუხს სცემს „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციური ერთიანობის საკითხს.

ამდენად, „ამირანდარეჯანიანის“ ფუნქციურ ნაწილებად დაყოფამ ცხადყო, რომ თითქმის ყველა კარში მსგავსი ფუნქციური ელემენტები გამოიყოფა, რაც მთელი ნაწარმოებისთვის კანონზომიერებათა ერთიან სისტემაზე მიუთითებს. ფუნქციათა გადანაწილებამ სამოქმედო სივრცის მიხედვით და ცალკეული სვლების გამოვლენამ კი ნათელი მოჰფინა ტექსტის კომპოზიციური ერთიანობის საკითხს. როგორც უკვე კვლევაში დადასტურდა, „ამირანდარეჯანიანში“ გამოიყოფა სამი სვლა: პირველი სვლა, რომელიც იყოფა ორ ნაწილად და მეორე და მესამე სვლები, რომლებიც პირველი სვლის ფარგლებშია მოქცეული. მას შემდეგ, რაც ნაწარმოებში გამოიყო ურთიერთდაკავშირებული სვლები, ჯადოსნური ზღაპრის მოდელის მაგალითზე გა-

ირკვა, ტექსტი ერთი ზღაპრის შემცველია თუ ორზე მეტის. პროპის კონცეფციის მიხედვით: „ერთი ზღაპარი გვაქვს იმ შემთხვევაში თუ იგი მხოლოდ ერთი სვლისგან შედგება ან მოიცავს ორ სვლას, რომელთაგან ერთი დადებითად სრულდება, მეორე კი უარყოფითად ან სვლებია გასამმაგებელი“ (პროპი 1984, 136). რაკი „ამირანდარეჯანიანი“ გასამმაგებული სვლის მოდელზეა აგებული და სამივე ამ სვლას ერთი დასასრული აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მთლიანობაში ერთი ზღაპრის შემცველია და არა რამდენიმე სრულად დამოუკიდებელი ნაწილისა.

დამოწმებანი

ბარამიძე, ალექსანდრე. 1932. *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, ვეფხის-ტყალსანი, ქილილა და დამანა*. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ბარამიძე, ალექსანდრე. 1945. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა: პედაგოგიური ინსტიტუტების ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების ენისა და ლიტერატურის სპეციალობისათვის*. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

იმედაშვილი, გაიოზ. 1966. „ამირანდარეჯანიანი“, წიგნში: *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. 2. რედ. ალექსანდრე ბარამიძე, 1-110. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კეკელიძე, კორნელი. 1958. *ქართული ლიტერატურის ისტორია*. წ. 2. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კეკელიძე, კორნელი. 1987. *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. 2. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მამაცაშვილი, მაია. 1999. „ამირანდარეჯანიანის“ უანრის საკითხისათვის.“ *მრავალთავი* 18: 351-361.

პროპი, ვლადიმირ. 1984. *ზღაპრის მორფოლოგია*. თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

სიხარულიძე, ნათია. 2007. „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციის შესახებ.“ *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი* 1: 35-46.

ხონელი, მოსე. 1967. „ამირანდარეჯანიანი“. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.

ხონელი, მოსე. 1896. „ამირანდარეჯანიანი“. გამოსაცემად მოამზადა ზაქარია ჭიჭინაძემ. ტფილისი: მ. შარაძის და ამხანაგობის სტამბა.

ხონელი, მოსე. 1939. „ამირან-დარეჯანიანი“. გამოსაცემად მოამზადა სარგის კაკაბაძემ. თბილისი: სახელგამი, მხატვრული ლიტერატურის სექტორი.

ხონელი, მოსე. 1949. *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია II*. შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი. თბილისი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა.

Март, Николай. 1895. Персидская национальная тенденция в грузинском романе *Амирандареджаниани*. *Журнал Министерства Народного Просвещения* 6: 352-365.

Tamta Surmava
Ilia State University, Georgia
tamta.surmava.1@iliauni.edu.ge
DOI: 10.32859/kadmos/16/166-182

The Narrative Structure of Amiran-Darejaniani in Light of Vladimir Propp's *Morphology of a Folktale*

Abstract

This article examines one of the most significant works of Georgian secular literature from the Classical Age, *Amiran-Darejaniani* (attributed to Mose Khoneli), through the lens of Vladimir Propp's 1928 research titled *Morphology of Folktale*.

According to the established opinion, *Amiran-Darejaniani* is regarded as a collection of individual stories centered around the main character of the story, Amiran Darejanidze. Using Propp's structural framework, this article aims to prove the compositional unity of *Amiran-Darejaniani*.

Propp's work is dedicated to researching the poetics and internal structure of magical folktales. This article applies his methodology to the composition of *Amiran-Darejaniani*, examining how the individual stories merge, and analyzing the functions of the protagonists. However, since *Amiran-Darejaniani* is not a folktale but a literary work, the article also touches upon the peculiarities of this literary text in comparison to a folk narrative.